სერ ჯონ მაკდონალდ-კინეირი (1782-1830), „გეოგრაფიული მემუარი სპარსეთის იმპერიის შესახებ“

A Geographical Memoir of the Persian Empire, Accompanied by a Map. By John Macdonald Kinneir, Political Assistant to Brigadier General Sir John Malcolm, in His Mission to The Court of Persia, London, J. Murray, 1813

With the exception of Teflis, the capital, there is no place in Georgia worthy the name of city. As, however, this country has, of late years, been rendered interesting, on account of the rapid encroachments the Russians towards the frontiers of Persia, I shall mention the principal positions and military stations now occupied by the power.

ტეფლისის, დედაქალაქის გარდა, საქართველოში სხვა, ქალაქად წოდების ღირსი ადგილი არ არის. მაგრამ, ვინაიდან ეს ქვეყანა ბოლო წლებში საინტერესო გახდა რუსეთის სპარსეთის საზღვრებში სწრაფი შეჭრის გამო, მე ხელისუფლების მიერ ამჟამად დაკავებულ მთავარ პოზიციებსა და სამხედრო ბაზებს აღვნიშნავ.

This city, before it was taken by Aga Mahomed Khan, in 1797, contained four thousand houses and twenty-two thousand inhabitants, the greater part of the former, which are neatly built, are still standing; but the population does not exceed fifteen thousands souls. Teflis was, for many years, the residence of Prince Heraclius, and is, at present, that of the Russian gouvernor and commander in Chief, who has, at all times, a large force stationed in te city. These troops are quartered, as in Europe (244), the houses of the inhabitants: a circumstance which has occasioned universal disgust, and will ultimately tend to render the Russian name detested by the Georgians; for as they posses the same ideas, in respect to their women, as most eastern nations, they shudder at the thoughts of their wives and daughters being constantly exposed to the view and opportunities of strangers (345).

ამ ქალაქში, ვიდრე მას 1797 წელს აღა მაჰმად ხანი აიღებდა, 4,000 სახლი და 22,000 მოსახლე იყო; ადრე კარგად აშენებული [სახლების] უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ დგას; მაგრამ მოსახლეობა 15,000 სულს არ აღემატება. *ტეფლისი* მრავალი წლის განმავლობაში იყო მეფე ერეკლეს რეზიდენცია, ამჟამად კი რუსი გუბერნატორისა და მთავარსარდლის რეზიდენციაა, რომელსაც ქალაქში მუდამ დიდი ჯარი ჰყავს. ეს ჯარები, ისევე როგორც ევროპაში, ადგილობრივთა სახლებშია განლაგებული: გარემოება, რომელმაც საყოველთაო ზიზღი გამოიწვია და საბოლოოდ, ქართველებისთვის საძულველს გახდის რუსის ხსენებას; ვინაიდან თავიანთი ქალების მიმართ მათ ისეთივე წარმოდგენა აქვთ, როგორიც აღმოსავლელი ხალხების უმეტესობას, ისინი ძრწიან იმის გაფიქრებაზე, რომ მათი ცოლები და ქალები მუდმივად უცხო ადამიანების მზერისა და ხელსაყრელი შემთხვევის პირისპირ უნდა ყოფილიყვნენ.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)